საქართველოს სახალხო დამცველი

# საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენი

№2 2015 წელი

## კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დაცვის მიმართულებით

## 1. საქართველოს სახალხო დამცველის მისალმება

საქართველოს სახალხო დამცველი
უჩა ნანუაშვილი

კონფლიქტები სპონტანურად არ იწყება. მათ, როგორც წესი, გრძელი ისტორია აქვთ. თუმცა, კიდევ უფრო გრძელვადიანი და რთულია კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება და ტრანსფორმაცია. ამ პროცესებს არაერთი მონაწილე ჰყავს, მაგრამ ის როლი, რომელიც ადამიანის უფლებათა დამცველებს შეუძლიათ შეასრულონ, ალბათ განსაკუთრებულია.

როგორც ადამიანის უფლებათა სისტემური და მრავალჯერადი დარღვევები იწვევს ადამიანებს შორის ან მოქალაქეებსა და სახელმწიფოს შორის კონფლიქტებს, ასევე, კონფლიქტები, თავის მხრივ, იწვევს ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებს. ამ ჩაკეტილი წრის გარღვევაში ომბუდსმენის ინსტიტუტს მნიშვნელოვანი როლი ეკისრება, რადგან ის ზედამხედველობს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას და რეაგირებს ასეთ ფაქტებზე.

სწორედ ამიტომ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის და კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები პირების უფლებრივი მდგომარეობის შესწავლას და მათ დაცვას. წარმოგიდგენთ რიგით მეორე, ამ მიმართულებით ომბუდსმენის აპარატის მიერ 2015 წელს განხორციელებული საქმიანობის ამსახველ საინფორმაციო ბიულეტენს.

მაგრამ მანამდე მოკლედ მიმოვიხილავ 2015 წელს. მიუხედავად იმისა, რომ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ პირთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების

## შინაარსი:

1. საქართველოს სახალხო დამცველის მისალმება 1
2. საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობა კონფლიქტების მიმართულებით 2
3. ექსპერტის მოსაზრება – ინტერვიუ იორგენ იოჰანსენთან 17
4. საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ 19

რეალიზების მიზნით არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი და ინფრასტრუქტურული სამუშაო განხორციელდა, ზოგადი ფონი სოფლებში კვლავ მძიმეა და რჩება ისეთი მწვავე პრობლემები, როგორიცაა სიღარიბე, უსაფრთხოების ნაკლებობა, სუფთა სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა და ა.შ.

გარკვეული სიახლეები სახელმწიფო სერვისებით სარგებლობის კუთხით, შეეხოთ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ პირებსაც. თუმცა, სამედიცინო და სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა საქართველოს არაკონტროლირებადი ტერიტორიების მკვიდრთათვის კვლავ არათანაბარია. მაგალითად, გალის რაიონის მოსახლეობა ჯერ კიდევ ვერ სარგებლობს იმ პროგრამებით, რომლებიც დიდ კმაყოფილებას იწვევს აფხაზეთის დანარჩენ ტერიტორიაზე მაცხოვრებელ პირებში.

მისასალმებელია, რომ კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დაცვას ცალკე თავი დაეთმო საქართველოს მთავრობის 2016-2017 წლების ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმაში. ამ პროცესში ჩვენც აქტიურად ვმონაწილეობდით. მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 2015 წლის ნოემბერში, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს სხდომა, სადაც საქართველოს დელეგაციამ უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის ფარგლებში აქცენტი გააკეთა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმების ჩართვის აუცილებლობაზე, რაც ემთხვევა სახალხო დამცველის მიერ არაერთხელ გაცხადებულ რეკომენდაციას.

**კონფლიქტით დაზარალებულ პირთა პრობლემების მოგვარება და უფლებების დაცვა სახელმწიფო პოლიტიკის, ყველა სახელმწიფო უწყების დღის წესრიგის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს.**

სახალხო დამცველი მიესალმება საქართველოს და დე ფაქტო ხელისუფლებებს შორის დაწყებულ დიალოგს პატიმართა გათავისუფლების საკითხზე, რაც წლების განმავლობაში სახალხო დამცველის რეკომენდაციას წარმოადგენდა. 2016 წლის 10 მარტს ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებებმა მიაღწიეს შეთანხმებას პატიმართა გათავისუფლების თაობაზე პრინციპით - „ყველა ყველაზე“.

ასევე მნიშვნელოვანი მიღწევაა გალის რაიონში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრების განახლებაზე მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც მხარეებმა 2016 წლის 22-23 მარტს ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების 35-ე რაუნდზე მიიღეს. სახალხო დამცველმა ჟენევის დისკუსიის საქართველოს დელეგაციას არაერთხელ მიმართა რეკომენდაციით გამოეჩინა მოქნილობა და გადაედგა ქმედითი ნაბიჯები გალში ამ მექანიზმის აღსადგენად.

2015 წლის განმავლობაში აქტიურად ვაკვირდებოდით კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებებს, როგორც გამყოფი ხაზის სიახლოვეს, ისე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ თემებში; გავმართეთ არაერთი შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან, სამოქალაქო საზოგადოებასა და ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

**ადამიანის უფლებათა დარღვევის, ჩვენ მიერ წლის განმავლობაში გამოვლენილი ფაქტები კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ სამშვიდობო პოლიტიკასა და კონფლიქტის ტრანსფორმაციას ალტერნატივა არ გააჩნია. ადამიანის უფლებების ჯეროვანი დაცვა კი კონფლიქტებისა და ძალადობის პრევენციის საუკეთესო მექანიზმია.**

## 2. საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობა კონფლიქტების მიმართულებით

### 2.1. მანდატი კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის მიმართულებით

სახალხო დამცველი 2014 წლიდან განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კონფლიქტით დაზარალებული პირების უფლებათა დაცვას. 2014 წლის თებერვლიდან სახალხო დამცველს ჰყავს უფროსი მრჩეველი კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა საკითხებში, რომელიც ხელმძღვანელობს კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დაცვის მიმართულებას. 2015

წლის ივლისიდან ევროკავშირის პროექტის, „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა“, ფარგლებში მუშაობა დაიწყო სამართლებრივმა ექსპერტმა კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დაცვის სფეროში.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად და ადგილობრივ მოსახლეობასთან მეტი კონტაქტის დასამყარებლად, 2015 წლიდან სახალხო დამცველის აპარატს ამ რეგიონებში  თავისი საკონტაქტო პირები ჰყავს, რაც ომბუდსმენის ინსტიტუტს სანდო და გადამოწმებული ინფორმაციის პირველწყაროდან მიღების საშუალებას აძლევს.

გარდა ამისა, სახალხო დამცველის აპარატი განიხილავს კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში მცხოვრებ პირთა განცხადებებს, უწევს მათ კონსულტაციას, ადგილზე ეცნობა მდგომარეობას გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში, ამზადებს რეკომენდაციებსა და წინადადებებს და სპეციალურ ანგარიშებს.

2015 წელს კონფლიქტით დაზარალებულ პირთა უფლებებთან დაკავშირებული 16 საქმის წარმოება დაიწყო. განცხადებები ძირითადად შეეხებოდა საცხოვრებლით უზრუნველყოფის, საკუთრების უფლების, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის, თავისუფლების უკანონო აღკვეთის და გადაადგილების თავისუფლების საკითხებს.

## 2.2. შეხვედრები კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობასთან

სახალხო დამცველი და მისი წარმომადგენლები რეგულარულად ჩადიან და ადგილზე ეცნობიან გამყოფი ხაზის სოფლების პრობლემებს, როგორც შიდა ქართლში, ისე სამეგრელოში, შემდეგ კი მანდატის ფარგლებში რეაგირებენ მათზე.

27 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლები მოსახლეობის პრობლემების ადგილზე გასაცნობად, ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლებში - ატოცსა და ყინწვისში იმყოფებოდნენ. სოფელ ატოცში განსაკუთრებით პრობლემატური იყო სოფელში მისასვლელი 3კმ-იანი მონაკვეთი და სკოლის შენობა, სწავლის პროცესისათვის არცთუ სახარბიელო პირობებით. სოფელ ყინწვისში კი მოსახლეობა უწყლობას უჩივის. ვიზიტის შემდეგ, სახალხო დამცველის თანამშრომლები ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებს შეხვდნენ და ამ სოფლებში არსებული პრობლემები მათთან ერთად განიხილეს.

კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობას შეხვდა თავად სახალხო დამცველი, 2015 წლის 17-18 ნოემბერს სამეგრელოში. სოფლების - ანაკლიის, რუხის და ონარიის მაცხოვრებლებს საშუალება მიეცათ ომბუდსმენისთვის საკუთარი პრობლემები გაეცნოთ. სოფელ რუხის მოსახლეობას გამყოფ ხაზზე გადაადგილების პრობლემა აქვს. იქ მომუშავე პირების ნაწილი სამსახურში აფხაზეთიდან დადის, ტრანსპორტის არარსებობის გამო მათ კილომეტრების გავლა ყოველდღიურად ფეხით უწევთ. ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარეობს სოფელ ონარიაში. სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესაბამისად, სოფელს დაფინანსება გაეზარდა. უკვე განაახლეს საცხოვრებელი სახლების მნიშვნელოვანი ნაწილის სახურავები და გაამაგრეს ამორტიზებული სახლები. შეიცვალა წყლის სისტემები და იწყება გზის მშენებლობა. მიუხედავად ამისა, სოფელში კვლავ რჩება მთელი რიგი სოციალური პრობლემები.

შეხვედრა მოსახლეობასთან სამეგრელოში

ამასთან ერთად, 2015 წელს სახალხო დამცველის ოფისში არსებული პროექტის, „სახალხო დამცველის აპარატის შესაძლებლობების გაძლიერება იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების გადასაჭრელად“, ფარგლებში შიდა ქართლის გამყოფი ხაზის სოფლებში გამართული 28 გასვლითი შეხვედრისას, სახალხო დამცველის თანამშრომლებმა სამართლებრივი კონსულტაცია გაუწიეს 250-მდე ადამიანს. კონსულტაციები ძირითადად სოციალურ, განათლების და ჯანდაცვის საკითხებს ეხებოდა. მოსახლეობის მიერ დასახელებულ მნიშვნელოვან საკითხებზე სახალხო დამცველის აპარატმა საქმისწარმოება დაიწყო.

## 2.3. ანგარიშები

### *სპეციალური ანგარიში საქართველოში მცხოვრები ოსური თემის შესახებ*

16 მარტს საქართველოს სახალხო დამცველმა წარადგინა სპეციალური ანგარიში - „საქართველოში მცხოვრები ოსური თემის მიგრაცია და მოქალაქეობასთან დაკავშირებული ცალკეული პრობლემები“. ანგარიშს საფუძვლად დაედო 2014 წელს ჩატარებული კვლევა, რომლის მიზანი იყო 1991–1993 წლებში შეირაღებული კონფლიქტებისა და ეთნიკური დაძაბულობის დროს ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების შესწავლა და დარღვეული უფლებების აღდგენისათვის აუცილებელი რეკომენდაციების შემუშავება.

აღნიშული კვლევის სამიზნე ჯგუფი 1990-იან წლებში საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები ის ოსი მოსახლეობა იყო, რომელიც 1990-იანი წლების პოლიტიკურმა და ეთნიკურმა დაძაბულობამ მნიშვნელოვნად დააზარალა. ანგარიშში მიმოხილულია ის სამართლებრივი და პრაქტიკული ბარიერები, რომლებიც მათ საქართველოს მოქალაქეობასთან დაკავშირებით ექმნებათ. კერძოდ კი, 90–იანი წლებიდან დღემდე განვითარებული მოვლენების შედეგად, მძიმე სოციალურ–ეკონომიკური პრობლემების ფონზე, საქართველოში მცხოვრები ოსების ნაწილმა საქართველოს მოქალაქეობასთან ერთად მიიღო რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა, რაც, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, იწვევს მათთვის საქართველოს მოქალაქეობის ავტომატურ შეწყვეტას. შესაბამისად, არსებული ვითარება აიძულებთ მათ გააკეთონ არჩევანი საქართველოსა და რუსეთის მოქალაქეობას შორის.

ანგარიში მომზადდა ევროპის საბჭოს ფინანსური მხარდაჭერით.[1]

### *სპეციალური ანგარიში კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ*

სახალხო დამცველმა 2014 წელს კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა 2015 წლის ივნისში გამოცემულ სპეციალურ ანგარიშში შეაჯამა. მასში მიმოხილულია ყველა ის ძირითადი საკითხი, რომელიც პრობლემატური იყო გასულ წელს, მათ შორის, გამყოფი ხაზის პირას მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა და უსაფრთხოების საკითხები, კრიმინოგენული ვითარება გალის რაიონში, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება, ე.წ. „პასპორტიზაციის“ საკითხი, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა და იძულებით გაუჩინარებულთა თემა და მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხები. ანგარიშში მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები ყველა შესაბამისი უწყების მიმართ.[2] ანგარიში სახალხო დამცველმა სახელმწიფო უწყებების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს წარუდგინა.

### *სპეციალური ანგარიში გალში განათლების უფლებაზე*

ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად მწვავედ დადგა გალის რაიონში მშობლიურ ენაზე განათლების მიღების საკითხი, რასაც სახალხო დამცველმა სპეციალური ანგარიში მიუძღვნა. ანგარიშში - „განათლების უფლება გალის რაიონში: 2015-2016 სასწავლო წლის სიახლეები და თანმდევი პრობლემები“ - დეტალურადაა აღწერილი 1995 წლიდან დღემდე გალის მკვიდრთა მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების და განათლების ხელმისაწვდომობის შეზღუდვის, დისკრიმინაციისა და ბავშვებზე ძალადობის ფაქტები და წარმოდგენილია შესაბამისი სამართლებრივი შეფასება. ანგარიშში ასახულია ის ღონისძიებებიც, რომლებიც სახალხო დამცველს აუცილებლად მიაჩნია ადგილობრივ მკვიდრთა უფლებების დასაცავად.

ანგარიშის – „განათლების უფლება გალის რაიონში: 2015–2016 სასწავლო წლის სიახლეები და თანმდევი პრობლემები“ –პრეზენტაცია.

1 ანგარიშის სრული ვერსია იხილეთ: http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/saqartveloshi-mcxovrebi-osuri-temis-migracia-da-moqalaqeobastan-dakavshirebuli-calkeuli-problemebi.page.

2 ანგარიშის სრული ვერსია იხილეთ: http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/konfliqtebit-dazaralebuli-mosaxleobis-uflebrivi-mdgomareoba-saqartveloshi.page.

აფხაზეთის დე ფაქტო ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, 2015-2016 სასწავლო წელს გალის რაიონის ყველა დაწყებითი კლასის მოსწავლემ (1-4 კლასი) სწავლა რუსულ ენაზე დაიწყო და ასე გაგრძელდება ყოველ მომდევნო წელს. შესაბამისად, 6 წელიწადში სასწავლო პროცესიდან სრულიად განიდევნება ქართული ენა და სასკოლო განათლება მთლიანად რუსულ ენაზე გადავა.

აღსანიშნავია, რომ გალის რაიონის მოსახლეობის, მათ შორის სკოლის მოსწავლეების დიდი უმრავლესობა, თვითიდენტიფიკაციას ახდენს როგორც ეროვნებით ქართველი. ბავშვებისთვის მშობლიურ ენაზე სასკოლო განათლების მიღების უფლების შეზღუდვა ხარისხიანი განათლების მიღებისა და განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემას ქმნის.

ანგარიშში შესულია რეკომენდაციები ყველა იმ უწყებისა და ორგანიზაციის მიმართ, რომელსაც პირდაპირ თუ ირიბად შეუძლია გავლენის მოხდენა გალის რაიონში ამ კუთხით მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.[3]

## 2.4. რეკომენდაციები და წინადადებები, მათი შესრულების დინამიკა

### *წინადადება გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებით სამთავრობო კომისიას*

17 ივლისს სახალხო დამცველმა, კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის სოციალური უფლებების რეალიზაციისთვის ეფექტიანი ღონისძიებების გატარების აუცილებლობის შესახებ, წინადადებით მიმართა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის თანათავმჯდომარეებს.

გამყოფი ხაზის მიმდებარე ბევრ სოფელს ჯერ კიდევ არ მიეწოდება სუფთა სასმელი წყალი; მაგალითისთვის, კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. ხვითში 2014 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში აშენდა წყლის რეზერვუარი, თუმცა წყლის ლაბორატორიულად შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ის მიკრობიოლოგიურად იყო დაბინძურებული, რაც, სავარაუდოდ, რეზერვუარის არაჰერმეტულობით უნდა იყოს გამოწვეული.

წინადადება ასევე ეხება ომის ტრავმით გამოწვეულ ფსიქოლოგიურ პრობლემებს ბავშვებსა და ახალგაზრდებში. შეიარაღებული კონფლიქტის დროს ბავშვების უმეტესობამ ძლიერი სტრესი გადაიტანა. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დღემდე ისმის სროლის ხმა, ამასთან, ხშირია დაკავებები გამყოფ ხაზზე. ეს აახლებს ომის ტრავმას და უარყოფითად აისახება ბავშვთა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე.

მწვავედ დგას საკუთრებისა და სათანადო საცხოვრებლის უფლების საკითხი. წინადადებაში ხაზგასმული იყო როგორც დაკარგული მიწების, ასევე დაზიანებული საცხოვრებელი სახლების პრობლემა. შიდა ქართლში ჯერ ისევ რჩება მოსახლეობა, რომელსაც სახელმწიფოსგან კომპენსაცია არ მიუღია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გორის მუნიციპალიტეტის სოფელი ზარდიაანთკარი, რომელიც 2012 წლამდე ოკუპირებული იყო. საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლის აღდგენის მიუხედავად, მოსახლეობა საკუთარ სახლებში კვლავაც არ დაბრუნებულა. ზარდიაანთკარი შიდა ქართლის კონფლიქტით დაზარალებულ სოფლებს შორის დღემდე ერთ-ერთი ყველაზე სავალალო მდგომარეობაში მყოფი სოფელია და პრობლემების დროულად მოუგვარებლობის შემთხვევაში, მის ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობას საფრთხე ემუქრება.

წინადადებაში ყურადღება გამახვილებულია გამყოფი ხაზის პირა სოფლების ინფრასტრუქტურულ მდგომარეობაზე. სოფელ ატოცის სკოლა ავარიულია და დაუყოვნებლივ შეკეთებას ან ხელახლა აშენებას საჭიროებს. ბევრ სოფელში დგას გზის და სხვა ინფრასტრუქტურული პრობლემები. მოასფალტებული გზის უქონლობა სერიოზულად აფერხებს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის ცენტრთან კომუნიკაციას, არამედ პირველადი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობასაც.

საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებით საქართველოს ხელისუფლებას აღებული აქვს ვალდებულება, დაიცვას სათანადო რესურსების არმქონე პირთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებები, მიმართოს შესაბამისი ძალისხმევა ამ უფლებების პრაქტი-

3 ანგარიშის სრული ვერსია იხილეთ: http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/ganatlebis-ufleba-galis-raionshi-2015-2016-saswavlo-wlis-siaxleebi-da-tanmdevi-problemebi1.page.

კული რეალიზაციისკენ, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს სახელმწიფოში სოციალურ თანასწორობას.

კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა კომისიას შემდეგი რეკომენდაციებით მიმართა:

- შეძლებისდაგვარად შემჭიდროვებულ ვადებში გამოიყოს ფინანსური სახსრები ომის დროს დაზიანებული სახლების რეაბილიტაციისათვის, მათ შორის გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარდიაანთკარში;
- შეფასდეს ომით დაზარალებული ბავშვების ტრავმირების ხარისხი და შემუშავდეს სპეციალური სასკოლო პროგრამები, რომლებიც მიმართული იქნება იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ ბავშვთა სოციალური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისაკენ;
- კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობა უზრუნველყონ სუფთა სასმელი წყლით. კონკრეტულად კი, შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოებს დაევალოთ წყლის სისტემების რეგულარული მოვლა-პატრონობა; მოხდეს წყლის ეფექტიანი გაუსნებოვნება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №62 დადგენილების შესაბამისად („ტექნიკური რეგლამენტი: ცენტრალიზებული და ადგილობრივი წყალმომარაგების სასოფლო-სამეურნეო წყლის ქლორით გაუსნებოვნებისა და წყალსადენის ნაგებობების დეზინფექციის წესები“); მოსახლეობას მიაწოდონ ინფორმაცია წყლის ხარისხთან დაკავშირებით;
- პრიორიტეტულად აშენდეს სოფელ ატოცის საჯარო სკოლის შენობა და აღდგეს სოფლამდე მისასვლელი გზა;

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითმა სამთავრობო კომისიამ 1 აგვისტოს სხდომაზე განიხილა აღნიშნული წინადადება. სახალხო დამცველის მრჩეველმა კომისიის წევრებს გააცნო წინადადებაში წარმოდგენილი პრობლემები და მათ აღმოსაფხვრელად შესაბამისი რეკომენდაციები.

საქართველოს განათლების სამინისტრომ გაითვალისწინა სოფელ ატოცის სკოლის მშენებლობის თაობაზე სახალხო დამცველის რეკომენდაცია. 2015 წლის ოქტომბრის თვიდან სკოლის ძველი შენობის დემონტაჟი და სამშენებლო სამუშაოები დაიწყო. ახლო მომავალში, მოსწავლეები სწავლას ახალაშენებულ სკოლაში განაგრძობენ. სხვა საკითხებთან დაკავშირებით კომისია განაგრძობს რეკომენდაციების განხილვას.

### *რეკომენდაცია ტ.თ.-ს კომპენსაციით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით*

2015 წელს სახალხო დამცველს კონკრეტული რეკომენდაცია ჰქონდა მოქალაქე ტ.თ.-ს სათანადო საცხოვრებლის უფლების აღდგენასთან დაკავშირებით. ტ.თ.-ს სახლი სოფელ ზარდიაანთკარში ომის დროს დაზიანებული და საცხოვრებლად უვარგისი სახლებიდან ერთ-ერთია. ამის გამო ტ.თ. ვერ ახერხებს სახლში საცხოვრებლად დაბრუნებას და იძულებულია მეუღლესთან ერთად ნათესავებს შეაფაროს თავი. ტ.თ.-ს სახლი 1 წლის განმავლობაში ჰქონდა დაქირავებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

ტ.თ.-ს სახლი სოფელ ზარდიაანთკარში.

მასში პირადი შემადგენლობის განსათავსებლად. ტ.თ.-ს მდგომარეობა იმითაც არის გამორჩეული, რომ სახლი პოლიციის საგუშაგოს მომიჯნავედ მდებარეობს და საომარი მოქმედებების განახლების შემთხვევაში მას შეიძლება საფრთხე დაემუქროს. სახალხო დამცვ-

ელის წარმომადგენლებმა ადგილზე დაათვალიერეს ტ.თ.-ს სახლი და გაეცნენ არსებულ მდგომარეობას.

სახალხო დამცველმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქალაქე ტ.თ.-ს ალტერნატიული საცხოვრებელი ფართით ან შესაბამისი ფულადი ანაზღაურებით უზრუნველყოფის რეკომენდაციით მიმართა, მანამდე, ვიდრე პოლიციის პოსტი განმცხადებლის სახლთან იქნება განთავსებული.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ არ გაითვალისწინა სახალხო დამცველის რეკომენდაცია ტ.თ.-ს კომპენსაციით უზრუნველყოფის თაობაზე. შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხის თანახმად, სამინისტროს ბრალი არ მიუძღვის ტ. თ.-ს სახლის დაზიანებაში და რეკომენდაციაში მითითებული ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული საკითხები სცილდება მის კომპეტენციას.

### *წინადადება პირადობის ნეიტრალური მოწმობის მქონე პირების C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის შესახებ*

სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრს უზრუნველყოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები ყველა პირის უფლებების თანაბარი რეალიზება და პირადობის ნეიტრალური მოწმობის მქონე პირებს შესაძლებლობა მისცეს ჩაერთონ C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამაში.

წინადადებაში აღნიშნულია, რომ ამ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობა განსაკუთრებით მოწყვლად კატეგორიას მიეკუთვნება და მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ და უფლებრივ მდგომარეობაში უწევთ ცხოვრება. სავალალო მდგომარეობაშია კლინიკები და ამბულატორიები, მცირეა კვალიფიციური ექიმების რაოდენობა. მოსახლეობას უამრავი წინააღმდეგობის გადალახვა უწევს გამყოფი ხაზის გადმოსაკვეთად.

ამ პირობებში, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ საქართველოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება დაიცვას ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა ჯანმრთელობა და სოციალური უფლებები, უზრუნველყოს სამედიცინო დახმარება განურჩევლად ყველასათვის. სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს ყველას ჯანმრთელობის უფლებას და არ შეზღუდოს კონკრეტული პირებისათვის ჯანდაცვის სერვისების თანაბარი ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით კი ყველაზე მოწყვლადი კატეგორიის ადამიანებისათვის.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური უფლებების დაცვა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მათი მცხოვრები პირების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას და კონფლიქტებით გაყოფილ საზოგადოებებს შორის ურთიერთობისა და ნდობის აღდგენას, რაც თავისთავად ეხმიანება სახელმწიფო სტრატეგიის მიზნებსა და ამოცანებს.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ომბუდსმენმა მიმართა პრემიერმინისტრს, შეისწავლოს ეს საკითხი და უზრუნველყოს ცვლილებების შეტანა 2015 წლის 20 აპრილს საქართველოს მთავრობის №169 დადგენილებაში - „C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე სახელმწიფო პროგრამის“ შესახებ, რომელიც საშუალებას მისცემს პირადობის ნეიტრალური მოწმობის მქონე პირებს ჩაერთონ სახელმწიფო პროგრამაში.

პასუხად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ აცნობა სახალხო დამცველს, რომ პროგრამის მოსარგებლეებში რაიმე სახის ცვლილების შეტანა მიზანშეუწონლად მიაჩნიათ მედიკამენტების უსაფრთხოების რისკებიდან გამომდინარე.

## 2.5. კონფლიქტით დაზარალებულ პირთა უფლებების ადვოკატირება

### *შეხვედრები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე*

სახალხო დამცველი კონფლიქტით დაზარალებული პირების უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს მთელი წლის განმავლობაში აქტიურად აყენებდა ოფიციალური შეხვედრების დროს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

11 მარტს სახალხო დამცველის პირველმა მოადგილემ და მთავარმა მრჩეველმა კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების საკითხებში, შეხვედრა გამართეს ევროპის საბჭოს პოლიტიკური დირექტორის

მოადგილესთან, დანიილ ხოშაბოსთან და ევროპის საბჭოს პოლიტიკურ საკითხთა დეპარტამენტის პოლიტიკურ მრჩეველთან, მარსელ კაპისთან. შეხვედრისას სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ისაუბრეს კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის უფლებებსა და იმ აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც მათ აწუხებთ. მათ ასევე გაუსვეს ხაზი ამ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობის მნიშვნელობას.

შეხვედრა ევროპის საბჭოს წარმომადგენლებთან

ასევე მარტში, სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი ჟენევაში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მოადგილეს, ფლავია პანსიერის შეხვდა. სხვა საკითხებთან ერთად, შეხვედრაზე კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრებ პირთა უფლებებიც განიხილეს.

2015 წლის 22 მაისს საქართველოს სახალხო დამცველი ეუთოს სპეციალურ წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიაში და ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარეს, ანჯელო გნედინგერსა და ეუთოში სერბეთის რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენლობის მრჩეველს, იოვიცა ცეკიჩს შეხვდა. შეხვედრაზე ომბუდსმენმა ხაზი გაუსვა ჟენევის დისკუსიების მნიშვნელობას, გალში ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის აღდგენის აუცილებლობასა და ორმხრივი თემატური შეხვედრების საჭიროებას. ანჯელო გნედინგერის განცხადებით, გასულ წელს ომბუდსმენის ოფისმა მნიშვნელოვანი სამუშაო გასწია კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების მონოტორინგისა და დაცვის კუთხით. მან ასევე გაამახვილა ყურადღება კონფლიქტების მშვიდობიან დარეგულირებასა და ნდობის აღდგენის პროცესში სახალხო დამცველის განსაკუთრებულ როლზე.

2015 წლის ივნისში, სახალხო დამცველის დელეგაცია, უჩა ნანუაშვილის ხელმძღვანელობით სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა გაერთიანებულ სამეფოში. დელეგაციის წევრებმა შეხვედრები გამართეს ადამიანის უფლებებსა და კონფლიქტების ტრანსფორმაციაზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მაღალი რანგის წარმომადგენლებთან, მათ შორის, დიდი ბრიტანეთის საგარეო ურთიერთობათა და ერთა თანამეგობრობის ოფისსა და ლორდთა პალატაში და ინფორმაცია მიაწოდეს საქართველოში კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობისა და სამშვიდობო პროცესების შესახებ.

2015 წლის 3 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოში ვიზიტით მყოფ, ეუთო-ში აშშ-ის, კანადის, ლიტვის, რუმინეთისა და შვედეთის მუდმივ წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე მოკლედ მიმოიხილეს საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობა. კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებებზე საუბრისას სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში არ არსებობს ადამიანის უფლებების მონიტორინგის მექანიზმი და მინიმალურია საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა, რაც დამატებით ართულებს ამ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დაცვას. სახალხო დამცველმა კონფლიქტურ ტერიტორიებზე მცხოვრებთა გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის, განათლების უფლების დარღვევასა და სხვა საკითხებზეც ისაუბრა.

უკრაინის ომბუდსმენის მიწვევით, უჩა ნანუაშვილმა და მისმა მრჩეველმა, მედეა ტურაშვილმა კიევში, საერთაშორისო კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა, რომელსაც 20-მდე ქვეყნის სახალხო დამცველი და მათი ოფისის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. კონფერენცია სწორედ კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების როლს შეეხებოდა.

თავის მოხსენებაში საქართველოს სახალხო დამცველმა ხაზი გაუსვა ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ჩართულობის აუცილებლობას კონფლიქტის მშვიდობიანი

მოგვარებისა და ადამიანის უფლებათა დარღვევების პრევენციის საკითხებში. ომბუდსმენმა ყურადღება გაამახვილა კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრებ პირთა საჭიროებებზე და ისაუბრა იმ პრაქტიკაზე, რომლითაც სახალხო დამცველის აპარატი ურთიერთობს კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრებ სამოქალაქო საზოგადოებასთან და ადგილობრივ უფლებადაცვით ორგანიზაციებთან.

საერთაშორისო კონფერენცია კიევში

უჩა ნანუაშვილის განცხადებით, კვლავ მთავარ გამოწვევად რჩება კონფლიქტით დაზარალებულ პირთა საკუთრების უფლების უხეში დარღვევა, დევნილთა მდგომარეობა, კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხოების საკითხი და საზოგადოების ჩართულობა კონფლიქტის მოგვარების პოლიტიკაში. „კონფლიქტის მოგვარების პოლიტიკა დამყარებული უნდა იყოს უპირველეს ყოვლისა დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დაცვაზე. ყველა ფორმალური თუ არაფორმალური დიალოგის დღის წესრიგის მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა იყოს ორიენტირებული ადამიანის უფლებების დაცვაზე და არ უნდა მოხდეს მათი პოლიტიზება“, - განაცხადა საქართველოს სახალხო დამცველმა.[4]

2015 წლის 9 ნოემბერს კი, საქართველოს სახალხო დამცველი ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს, ნილს მუჟნიეკსის შეხვდა. სხვა საკითხებთან ერთად, ომბუდსმენმა კომისარს გააცნო გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებები და გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვისა და განათლების უფლების დარღვევის ფაქტები. სახალხო დამცველმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონფლიქტურ ტერიტორიებზე არ მიმდინარეობს ადამიანის უფლებების მონიტორინგი და მინიმალურია საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა, რაც კიდევ უფრო ართულებს ადამიანის უფლებების დაცვას.

### *კონფერენციები და ოფიციალური შეხვედრები*

სახალხო დამცველი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თანამშრომლობას და პარტნიორობას სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, რომლებთან ერთადაც ომბუდსმენის აპარატმა ადვოკატირების რამდენიმე ღონისძიებაც განახორციელა.

სახალხო დამცველის აპარატის ინიციატივით, არასამთავრობო ორგანიზაციებს საშუალება აქვთ საკუთარი წვლილი შეიტანონ ომბუდსმენის საპარლამენტო ანგარიშის მომზადების პროცესში და წარადგინონ მოსაზრებები და რეკომენდაციები. ამ მიზნით, წლის დასაწყისში, იმართება შეხვედრები კონფლიქტით დაზარალებულ თემებში მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობას, სახელმწიფო სტრუქტურებსა და სხვადასხვა ჩართულ მხარეებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, 3 აპრილს სახალხო დამცველმა, ბრიტანულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, „უსაფრთხო მსოფლიო“ და გორის საინფორმაციო ცენტრმა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის წევრებთან სამუშაო შეხვედრა გამართეს. ღონისძიებას ესწრებოდნენ გამყოფი ხაზის მიმდებარე 20 თემის წარმომადგენლები და სახალხო დამცველთან არსებული ოსური ფორუმის წევრები. ადგილობრივი თემების წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ შესაბამისი სახელმწიფო უწყებებიდან მიეღოთ ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე. ასეთი ინიციატივებით, სახალხო დამცველი ხელს უწყობს კონფლიქტით დაზარალებულ თემსა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის პირდაპირ კომუნიკაციას, რაც ზრდის ორივე მხარის ინფორმირებულობას და შესაბამისად, პრობლემების გადაჭრის ალბათობას.

გარდა ამისა, 2015 წლის 23 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველის, ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტისა და დევნილთა ქსელ „სინერგიას“ ორგანიზებით

4 ვიზიტის დეტალები იხილეთ: https://www.youtube.com/watch?v=-Kc9pgOAg88

გაიმართა შეხვედრა თემაზე - კონფლიქტების მოგვარების პოლიტიკა: ხელისუფლებისა და საზოგადოების როლი და პასუხისმგებლობა. ქსელ „სინერგიის“ წარმომადგენლებმა კონფლიქტურ რეგიონებში განათლების ხელმისაწვდომობის შესახებ კვლევა წარმოადგინეს, რომელშიც ზოგადი განათლების ხარისხი და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემები იყო მიმოხილული.

კონფერენცია „კონფლიქტების მოგვარების პოლიტიკა: ხელისუფლებისა და საზოგადოების როლი და პასუხისმგებლობა“

ღონისძიების გახსნისას საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა კონფლიქტების მოგვარების პოლიტიკის გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების, განათლების, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის, პატიმრებისა და რესტიტუციის საკითხების გადასაჭრელად ქვეყანაში ერთიანი პოლიტიკის არსებობის ნაკლებობაზე ისაუბრა. მან ასევე აღნიშნა, რომ მსგავსი მიდგომა და ხედვა სახელმწიფოსთვის დიდი გამოწვევაა და აუცილებელია ამ კუთხით გააქტიურება, რაც ხელისუფლებისა და საზოგადოების მეტ ჩართულობას გულისხმობს.

საქართველოს დიპლომატიურ მისიებთან თანამშრომლობის მიზნით, 2015 წლის 3 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა ამბასადორიალის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ კორპუსს ადამიანს უფლებების სფეროში ქვეყანაში არსებული დადებითი ტენდენციებისა და გამოწვევების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. სახალხო დამცველი შეხვედრაზე ასევე შეეხო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს.

უჩა ნანუაშვილის ინიციატივით, სახალხო დამცველის აპარატმა ასევე დაიწყო რეგულარული კომუნიკაცია არა მხოლოდ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ მისიებთან, არამედ საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთანაც. ამ ფორმატში 2015 წელს გამართულ 3 სამუშაო შეხვედრაზე სახალხო დამცველმა ელჩებს და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაცია მიაწოდა კონფლიქტით დაზარალებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ.

### *საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა*

სახალხო დამცველის აპარატი ჩართული იყო საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებათა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებაში და წარადგინა რეკომენდაციები სამოქმედო გეგმის პირველად ვერსიაზე, ხოლო 2016 წლის დასაწყისში სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ამ რეკომენდაციების განხილვის პროცესში. რეკომენდაციების განხილვას ესწრებოდნენ როგორც ხელისუფლების, ისე სამოქალაქო სექტორის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

2016-2017 წლების ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის ერთი თავი ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრები ადამიანების უფლებების დაცვის საკითხებს დაეთმობა. სახალხო დამცველის რეკომენდაციები ძირითადად შეეხებოდა ამ რეგიონებში მცხოვრებ მოწყვლად ჯგუფებზე მეტი აქცენტის გაკეთებას, ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის საკითხებს, ასევე, გეგმაში სხვა ისეთი საკითხების შეტანას, რომლებსაც სახალხო დამცველი მუდმივად აყენებს: ომის დროს დაზიანებული სახლების რეაბილიტაცია/კომპენსაცია, განათლებისა და ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობა, არაფორმალური განათლება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის და ა.შ.

2016-2017 წლების ადამიანის უფლებათა სამთავრობო გეგმა, სავარაუდოდ, 2016 წლის გაზაფხულზე დამტკიცდება.

## 2.6. ოსური ფორუმის საქმიანობა

2015 წლის განმავლობაში აქტიურად მუშაობდა სახალხო დამცველის აპარატთან არსებული საკონსულტაციო საბჭო - ოსური ფორუმი, რომელიც საქართველოში მცხოვრები ოსი თემის

წარმომადგენლებს აერთიანებს. სახალხო დამცველის ინიციატივით შექმნილი ოსური ფორუმი -მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფი, კონსულტაციას უწევს სახალხო დამცველს ეთნიკურად ოსი მოსახლეობის უფლებების დაცვის მიმართულებით.

13 თებერვალს, „ოსური ფორუმის" წევრებმა საპარლამენტო კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე ოსური თემის წინაშე არსებული პრობლემები წარმოადგინეს. განხილვას დაესწრნენ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტების წევრები.

ოსური ფორუმის წევრები პარლამენტში

ოსური ფორუმის წევრებმა კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში მდებარე საჯარო სკოლებში ოსური ენის სწავლების საკითხებზე, ოსური ენის მასწავლებელთა მომზადება–გადამზადებასა და სახელმწიფო პროგრამებზე ისაუბრეს. აღინიშნა, რომ პრეზიდენტის ფონდის დაფინანსებით, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უახლოეს ხანებში ამოქმედდება ქართულ– ოსური სამეცნიერო ცენტრი.

ასევე განიხილეს იმ ოსი ეროვნების მოსახლეობის პრობლემები, რომელმაც 90–იან წლების კონფლიქტის შედეგად დატოვა საცხოვრებელი სახლები და სხვა ქვეყანაში გადასახლდა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ კი რესტიტუციისა და ორმაგი მოქალაქეობის მიღების პრობლემები შეექმნა.

16 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველმა ოსური თემის როლის გააქტიურების, ნდობის აღდგენისა და კონფლიქტის ტრანსფორმაციის საკითხებზე მრგვალი მაგიდა გამართა. შეხვედრაში მონაწილე ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა განიხილეს ოსური თემის უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა მათი უფლებების დასაცავად, ოსური სამოქალაქო ორგანიზაციების გამოცდილება კონფლიქტით დაშორიშორებულ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენის თვალსაზრისით და ის გამოწვევები, რომლებიც ამ ორგანიზაციების წინაშე დგას. მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა ისაუბრეს ოსური საზოგადოების სამშვიდობო პროცესში ჩართულობისათვის საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერის აუცილებლობაზეც.[5]

მრგვალი მაგიდა „ოსური თემის როლი ნდობის აღდგენისა და კონფლიქტის ტრანსფორმაციის საკითხებში"

## 2.7. წარმატებული საქმეები

*ოსური სახლის აღდგენა*

2014 წელს, საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სსიპ „საქართველოს ეროვნული მუზეუმის" ღია ცის ქვეშ ეთნოგრაფიულ მუზეუმში განთავსებული ოსური სახლის რესტავრაციისა და მათში მუდმივმოქმედი გამოფენის მოწყობის ხარჯების უზრუნველყოფის რეკომენდაციით მიმართა. რეკომენდაციაში აღნიშნული იყო, რომ ოსური სახლის აღდგენა წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა სახელმწიფოს მიერ ეროვნული უმცირესობების წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების საქმეში და მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს საქართველოში ოსური ეთნო-კულტურის პოპულარიზაციას, ოსური თემის კულტურული უფლებებისა და მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და კონფლიქტით დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენას.

5 ღონისძიების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ: https://www.youtube.com/watch?v=ch5Aav0pvCc

22 იანვარს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროდან სახალხო დამცველს ეცნობა, რომ სსიპ „საქართველოს ეროვნული მუზეუმის“ ღია ცის ქვეშ ეთნოგრაფიულ მუზეუმში განთავსებულ ოსურ სახლს სარესტავრაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ღონისძიებების ხელშეწყობის 2015 წლის პროგრამის ფარგლებში“ ჩაუტარდებოდა.

ოსური სახლის აღდგენის საკითხი პირველად სახალხო დამცველთან არსებული „ოსური ფორუმის“ წევრებმა დასვეს და რეკომენდაციაც სწორედ მათი ჩართულობით მომზადდა.

### აფხაზეთის ორი მკვიდრის მკურნალობის სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფა

სახალხო დამცველის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეფერალურმა კომისიამ 2015 წლის 20 აგვისტოსა და 14 სექტემბრის სხდომების გადაწყვეტილებით, აფხაზეთში მცხოვრებ მ.ჭ.-ს და ხ.ც.-ს სრულად დაუფინანსა სამედიცინო მომსახურება.

### კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ მარტოხელას ხანდაზმულთა პანსიონატში მოთავსება

სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ 24 აგვისტოს საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები მარტოხელა ხანდაზმულის, კ.ც.–ს გადმოყვანა და ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატში ჩარიცხვა უზრუნველყო.

### სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამით ნეიტრალური მოწმობის მქონე პირებიც ისარგებლებენ

2016 წლიდან „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამით“ პირადობის ნეიტრალური მოწმობის მქონე პირებიც შეძლებენ სარგებლობას. პროგრამა მოიცავს ისეთ სერვისებს, როგორებიცაა ბავშვის ადრეული განვითარების პროგრამა, ბავშვთა რეაბილიტაცია და აბილიტაცია, პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა (მაგ., სავარძელ-ეტლები, საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებები, სმენის აპარატები, კოხლეარული იმპლანტები, ყავარჯნები) და სხვა.

2014 წლის სექტემბერში სახალხო დამცველმა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამაში“ იმგვარი ცვლილების შეტანის წინადადებით მიმართა, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებსაც შეძლებოდათ პროგრამით გათვალისწინებული სერვისებით სარგებლობა.

### მცირერიცხოვან ეროვნულ უმცირესობათათვის მშობლიური ენის სწავლების საკითხი

სახალხო დამცველმა და მასთან არსებულმა ეროვნულ უმცირესობათა საბჭომ რეკომენდაციით მიმართეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ხელი შეუწყოს საქართველოში მცხოვრებ მცირერიცხოვან ეროვნულ უმცირესობებს და მათი კომპაქტური დასახლების ადგილებში, იქ, სადაც არსებობს შესაბამისი მოთხოვნა, სასკოლო განათლების ფარგლებში, დანერგოს შესაბამისი ენების სწავლება (კვირაში ორი აკადემიური საათი). 2014 წელს, ცალკე რეკომენდაცია გასცა სახალხო დამცველმა ოსური ენის სწავლებასთან დაკავშირებით.

2012 წლიდან, სკოლების ოპტიმიზაციის პროცესის ფარგლებში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აღარ აფინანსებდა ოსური ენის სწავლებას 3 სკოლაში, რომლებშიც ოსური ენის სწავლების ათეულობით წლების ტრადიცია არსებობდა. ეს სკოლები მდებარეობდა ოსებით კომპაქტურად დასახლებულ სოფლებში: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფლებში - არეშფერანსა და ფონაში, და ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ წიწკენაანთსერში. სახალხო დამცველი რეკომენდაციაში ხაზს უსვამდა, რომ საქართველოში მცხოვრები ოსებისათვის მშობლიური ენის სწავლების ხელშეწყობა იმის მაჩვენებელი იქნება, რომ სახელმწიფო ზრუნავს და იცავს მის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ეთნიკური უმცირესობის ენასა და კულტურას, რაც მნიშვნელოვანი გზავნილია

სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ოსებისათვის.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გაითვალისწინა ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციები და 2015 წელს შექმნა ეროვნული უმცირესობების ენების, მათ შორის ოსური ენის სასწავლო გეგმა და შეიმუშავა დაწყებითი საფეხურის (1-6 კლასის) სტანდარტი. 2015 წლის 27 ოქტომბრის განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა აღნიშნული სასწავლო გეგმა, რომელშიც უმცირესობათა ენები შეტანილია არჩევით საგნად და მის სწავლებას აანაზღაურებს სამინისტრო.

## 2.8. სახალხო დამცველის განცხადებები კონფლიქტით დაზარალებულ პირთა უფლებების დასაცავად

### *განცხადება აფხაზეთის გამყოფ ხაზზე მოზარდის გარდაცვალებასთან დაკავშირებით*

6 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა მწუხარება გამოთქვა და მიუსამძიმრა აფხაზეთის გამყოფ ხაზზე გარდაცვლილი 12 წლის მოზარდის ოჯახს, რომელსაც საშუალება არ მიეცა გადმოეკვეთა გამყოფი ხაზი და მიეღო დროული სამედიცინო მომსახურება.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად, აუცილებელია: შეწყდეს ადამიანის უფლებების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება და ამ საკითხების პოლიტიკურ სტატუსთან დაკავშირება; ქართულმა, აფხაზურმა და ოსურმა მხარეებმა ითანამშრომლონ და გადადგან ქმედითი ნაბიჯები კონფლიქტის ზონებში ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესებისაკენ; რუსეთის ფედერაციის მესაზღვრეებმა შეწყვიტონ პაციენტების, მოსწავლეებისა და ადგილობრივი მოსახლეობის უკანონო დაკავება; რუსეთის ფედერაციამ და დე ფაქტო ხელისუფლებებმა უზრუნველყონ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ადამიანის უფლებებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მისიების შეუფერხებელი მუშაობა; აღდგეს ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის შეხვედრები გალის რაიონში; ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებმა, გაეროს სახელშეკრულებო ორგანოებმა უფრო სიღმისეულად შეისწავლონ არაღიარებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების მდგომარეობა, გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მონიტორინგის განსახორციელებლად და შესაბამისი დასკვნების მოსამზადებლად; საქართველოს ხელისუფლებამ გამოიჩინოს მაქსიმალური მოქნილობა მოლაპარაკებების პროცესში, რათა შესაძლებელი გახდეს კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა.

### *განცხადება იძულებით გაუჩინარებულთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით*

30 აგვისტოს იძულებით გაუჩინარებულთა საერთაშორისო დღე აღინიშნება. საქართველოში გაუჩინარებულთა პრობლემა მტკივნეულად დგას; 90-იანი წლების კონფლიქტების შედეგად 2 ათასამდე პირი ითვლება უგზო-უკვლოდ გაუჩინარებულად, მათ შორის დაახლოებით 1500 ეთნიკურად ქართველი, 200 ეთნიკურად აფხაზი და 100 ეთნიკურად ოსი, როგორც შეიარაღებული ისე სამოქალაქო პირი; ხოლო 2008 წლის ომის შემდეგ, 6 ეთნიკურად ოსი და 35 ეთნიკურად ქართველი. საქართველოს სახალხო დამცველი პატივს მიაგებს უგზო-უკვლოდ გაუჩინარებული ადამიანების ხსოვნას, უსამძიმრებს მათ ოჯახებსა და ახლობლებს და მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, ასევე, დე ფაქტო მთავრობებს სოხუმსა და ცხინვალში, არსებითად ითანამშრომლონ გაუჩინარებულთა მოძიებისა და მათი ოჯახების დასახმარებლად. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფოსთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს „იძულებითი გაუჩინარებისგან ყველა პირის დაცვის შესახებ“ კონვენციის რატიფიცირება.

### *განცხადება მშვიდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით*

21 სექტემბერი მშვიდობის საერთაშორისო დღეა და ის ხალხთა შორის მშვიდობის იდეის გა- ძლიერებას და გავრცელებას ემსახურება. სახალხო დამცველი და მისი აპარატი შეუერთდა მშვიდობის საერთაშორისო დღეს და სპეციალური განცხადება გაავრცელა.

სახალხო დამცველი მოუწოდებს როგორც საქართველოს ხელისუფლებას, ისე დე ფაქტო მთავრობებს სოხუმსა და ცხინვალში, შეუერთდნენ დღევანდელ დღეს და კონფლიქტით დაზარალებულ პირთა ინტერესებისა და უფლებების დაცვა მათი საქმიანობის პრიორიტეტად აქციონ.

**სახალხო დამცველი ასევე მიმართავს აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მოღვაწე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, მედია ორგანიზაციებს და პოლიტიკურ ჯგუფებს, საერთო ძალისხმევა მიმართონ კონფლიქტით დაზარალებულ პირთა დასახმარებლად და ყოველდღიური ყოფის შესამსუბუქებლად და ამავე დროს, მაქსიმალური სიფრთხილით მოეკიდონ ისეთ მგრძნობიარე თემებს, რომლებიც კიდევ უფრო ძაბავს კონფლიქტურ სიტუაციას და აუარესებს ხალხთა შორის ურთიერთობებს.**

*განცხადება 2008 წლის აგვისტოს ომის შვიდი წლისთავთან დაკავშირებით*

8 აგვისტოს სახალხო დამცველმა საჯარო განცხადება გააკეთა, სადაც აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ აქტიური შეიარაღებული მოქმედებების დასრულებიდან შვიდი წელი გავიდა, კონფლიქტის ზონაში მცხოვრები როგორც ქართველი, ისე ოსი მოსახლეობა დღემდე მწვავედ განიცდის ომის დამანგრეველ შედეგებს.

„დადგა დრო დაიწყოს შინაარსობრივი დისკუსია ურთიერთობების ნორმალიზებისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს კონფლიქტის ყველა მხარეს მცხოვრებ პირთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, მათი ღირსებისა და უფლებების დაცვას, დაპირისპირებულ საზოგადოებებს შორის დამოკიდებულებების ტრანსფორმაციასა და ომის შედეგად მიყენებული ჭრილობების მოშუშებას. ამისთვის სახელმწიფო სტრუქტურებს შორის მეტი კოორდინაცია და ჩამოყალიბებული სტრატეგიაა საჭირო.“

**საქართველოს მოქალაქეებისათვის განკუთვნილი სიკეთეები, მათ შორის ჯანდაცვა, განათლება, სოციალური დახმარება და ა.შ. თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსახლეობისათვის, მათი უფლებების რეალიზაციასა და კონფლიქტებით დაზარალებული საზოგადოებების განვითარებისა და დეიზოლაციისათვის.**

*სახალხო დამცველის განცხადება 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების დროს და მის შემდეგ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების შესახებ*

სახალხო დამცველი გამოეხმაურა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის, ფატუ ბენსუდას მიმართვას სასამართლოს წინასწარი წარმოების პირველი პალატისადმი, სადაც პროკურორი ითხოვდა ნებართვას საქართველოში, 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის დროს სავარაუდოდ ჩადენილი სამხედრო და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გამოსაძიებლად. 2016 წლის 27 იანვარს კი ცნობილი გახდა, რომ სასამართლომ პროკურორს გამოძიების დაწყებაზე თანხმობა მისცა.

სახალხო დამცველი მიესალმა ამ ინიციატივას და აღნიშნა, რომ ომის დროს ჩადენილი დანაშაულებების გამოძიება ხელს შეუწყობს სიმართლის დადგენას, მსხვერპლთა უფლებების აღდგენას და კონფლიქტის მხარეებსა და დაზარალებულ მოსახლეობას შორის სამშვიდობო პროცესების დაჩქარებას.

საქართველოს სახალხო დამცველი თავის 2013-2014 წლების საპარლამენტო ანგარიშებში წერდა 2008 წლის აგვისტოში საომარი მოქმედებების დროს და მის შემდგომ პერიოდში ჩადენილი დანაშაულების გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და რეკომენდაციით მიმართავდა საქართველოს მთავარ პროკურორს „ეფექტიანად და შემჭიდროვებულ ვადებში“ გამოეძიებინა ეს დანაშაულები, მათ შორის, პირთა უგზო-უკვლოდ გაუჩინარების საქმეები.

## 2.9. სახალხო დამცველის საგანმანათლებლო საქმიანობა კონფლიქტით დაზარალებულ პირთა უფლებებთან დაკავშირებით

საქართველოს სახალხო დამცველის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში საგანმანათლებლო საქმიანობა წარმოადგენს. იგი ორგანიზებას უწევს ადამიანის უფლებათა შესახებ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებსა და კამპანიებს, რომლებიც სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებს აერთიანებს.

*კონკურსი ჟურნალისტებისთვის „კონფლიქტები და მათი ზეგავლენა ადამიანის უფლებებზე“*

კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის პრობლემების გასაშუქებლად ჟურნალისტთა წახალისებისა და კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების გზებზე დისკუსიის ინიცირების მიზნით, სახალხო დამცველმა, ჟურნალისტებისათვის ჩაატარა კონკურსი

„კონფლიქტები და მათი გავლენა ადამიანის უფლებებზე“. დამოუკიდებელმა ჟიურიმ პირველი ადგილი ბლოგისთვის – “Постоянные гости детского сада”, მიაკუთვნა „ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის“ ჟურნალისტს, მზევინარ ხუციშვილს; მეორე ადგილი რადიო თავისუფლების ჟურნალისტს, გოგიტა აფციაურს ერგო რადიო სიუჟეტისთვის – „ახალი წელი ზარდიაანთკარში“; მესამე ადგილი „რუსთავი 2–ის“ ჟურნალისტმა, დავით ქაშიაშვილმა დაიმსახურა სიუჟეტისთვის, რომელიც გამყოფი ხაზის მეორე მხარეს საფლავების მონახულების პრობლემას ასახავდა.

### *სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის ტრენინგი „ადამიანის უფლებების როლი კონფლიქტის ტრანსფორმაციაში“*

სახალხო დამცველის აპარატთან 2015 წელს დაარსებული ადამიანის უფლებათა აკადემიის ფარგლებში გამართული ერთ-ერთი პირველი ტრენინგი კონფლიქტის ტრანსფორმაციის თემაზე ჩატარდა. ტრენინგის, „ადამიანის უფლებების როლი კონფლიქტის ტრანსფორმაციაში“, მთავარი მიზანი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის კონფლიქტისა და პოსტკონფლიქტურ სიტუაციაში ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელობის გაცნობა იყო.

კურსის ტრენინგს საერთაშორისო ექსპერტები - იორგენ იოჰანსენი და მიშელ პარლევლიტი უძღვებოდნენ. მათ მონაწილეებს გააცნეს კონფლიქტების ანალიზის მეთოდოლოგია, ისაუბრეს ინსტიტუტებისა და სხვადასხვა აქტორების როლზე კონფლიქტის მოგვარებასა და მშვიდობის მშენებლობაში და გააანალიზეს ადამიანის უფლებებისა და კონფლიქტის ტრანსფორმაციის ურთიერთკავშირი.

ტრენინგის, „ადამიანის უფლებების როლი კონფლიქტის ტრანსფორმაციაში“, მონაწილეები

### *მშვიდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ფილმის ჩვენება*

21 სექტემბერს, მშვიდობის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად საქართველოს სახალხო დამცველმა კინოს სახლში ლიბანელი რეჟისორის, ნადინე ლაბაკის ფილმის - „საით მივდივართ ახლა?“ ჩვენებას უმასპინძლა. ფილმი სხვადასხვა აღმსარებლობის ქალთა და სასულიერო ლიდერთა როლზე მოგვითხრობს, რომლებიც ცდილობენ ლიბანის ერთ-ერთ სოფელში, დაპირისპირებულ თემებს შორის მზარდი კონფლიქტი აიცილონ. უჩა ნანუაშვილი დამსწრე საზოგადოებას კონფლიქტების მოგვარების საკითხში მოქალაქეების და კონკრეტული საზოგადოებრივი ჯგუფების ჩართულობის აუცილებლობაზე ესაუბრა.

**„თითოეულ ჩვენგანს აკისრია პასუხისმგებლობა და შეგვიძლია ჩვენი წვლილი შევიტანოთ კონფლიქტების პრევენციასა და ურთიერთობების ნორმალიზებაში, რადგან მშვიდობა ჩვენი უფლებაცაა და ვალდებულებაც.“**

## 2.10. ომბუდსმენის როლი კონფლიქტით დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენაში

უმნიშვნელოვანესია ომბუდსმენის ინტიტუტის, როგორც ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს, როლი კონფლიქტით გახლეჩილ საზოგადოებებსა და მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენაში. კონფლიქტით დაზარალებულთა უფლებების დაცვა ის ქვაკუთხედია, რომელიც საშუალებას მისცემს კონფლიქტით დაშორიშორებულ მხარეებს აღადგინონ ნდობა და ითანამშრომლონ მოსახლეობის კეთილდღეობის მისაღწევად, რადგან წარმოუდგენელია მშვიდობა სამართლიანობის აღდგენისა და კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების ღირსებისა და უფლებების პატივისცემის გარეშე.

ამის გამო, სახალხო დამცველის ინიციატივით, ომბუდსმენის აპარატი აქტიურადაა ჩართული ნდობის აღდგენის პროცესში და თავადაც უწევს ორგანიზებას დიალოგისა და საგანმანათლებლო პროექტებს, რომლებშიც მონაწილეობენ ქართული, აფხაზური და ოსური უფლებადაცვითი ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

### ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სამოქალაქო დიალოგი

ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სამოქალაქო დიალოგის ფორმატებში მონაწილეობა მნიშვნელოვანია სახალხო დამცველის აპარატისათვის, რადგან ეს შეხვედრები ადამიანის უფლებების მდგომარეობაზე ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლისა და გამოცდილების გაზიარების საშუალებას იძლევა. სახალხო დამცველის წარმომადგენლები აფხაზ და ოს კოლეგებს თავადაც აცნობენ აპარატის მიერ განხორციელებულ საქმიანობას და მათგანაც იღებენ ინფორმაციას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებულ სიტუაციაზე. ასეთი შეხვედრები მნიშვნელოვანია კონტაქტების დამყარების თვალსაზრისითაც, რაც შემდგომში კონკრეტულ საქმეებსა თუ თემებზე თანამშრომლობის საწინდარი ხდება. სწორედ დიალოგის პროექტის ფარგლებში დამყარებული კონტაქტების წყალობით, სახალხო დამცველმა რამდენიმე საქმე შეისწავლა და თავადაც მიაწოდა უფლებადარღვევის ფაქტების შესახებ ინფორმაცია აფხაზ და ოს კოლეგებს.

სამოქალაქო დიალოგის ფორმატებიდან აღსანიშნავია ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზებული შეხვედრები, რომლებშიც მონაწილეობენ ქართველი და აფხაზი სამოქალაქო აქტივისტები და უფლებადამცველები. შეხვედრებს თემატური ხასიათი აქვს და შეეხება ქალთა და ბავშვთა უფლებებს, ჯანდაცვის საკითხებს, გადაადგილების თავისუფლებას, პენიტენციურ სისტემაში არსებულ გამოწვევებს, დისკრიმინაციის საკითხებს, და ა.შ.

ქართულ-ოსური ფორმატი ამერიკული უნივერსიტეტის, ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის მიერ არის ორგანიზებული და მას ქართულ არასამთავრობო სექტორთან ერთად, ცხინვალში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედია საშუალებების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური მისიების წარმომადგენლები ესწრებიან. აქაც, სახალხო დამცველს და მის თანამშრომლებს საშუალება ეძლევათ ისაუბრონ გამყოფ ხაზზე დაკავებებსა და საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე განთავსებულ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ოს პატიმართა მდგომარეობის შესახებ.

სწორედ ამ ფორმატის ფარგლებში გაცვალეს ინფორმაცია სახალხო დამცველმა და ოსური არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა პატიმართა თაობაზე. ამავე ფორმატში უჩა ნანუაშვილი შეხვდა ოსი პატიმრების ოჯახის წევრებს და მათი თხოვნით, თავად პატიმრებსაც. შედეგად, სახალხო დამცველის და ხელისუფლების ჩართულობით, 2016 წლის 10 მარტს შესაძლებელი გახდა სოხუმის, ცხინვალის და საქართველოს სხვა ქალაქების სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფ პატიმართა გათავისუფლება პრინციპით, „ყველა ყველაზე“.

### ადამიანის უფლებათა საზაფხულო სკოლა

სახალხო დამცველის აპარატი თავად იყო ნდობის აღდგენის პროექტის ინიციატორი, რომელსაც ამავე დროს საგანმანათლებლო ხასიათი ჰქონდა. 2015 წლის ზაფხულში ადამიანის უფლებათა ცენტრთან თანამშრომლობით და ევროპის ეროვნულ უმცირესობათა საკითხების უმაღლესი კომისრის ოფისის (OSCE HCNM) ფინანსური მხარდაჭერით, სახალხო დამცველის აპარატმა ჩაატარა ერთი ადგილობრივი და ერთი საერთაშორისო ადამიანის უფლებათა საზაფხულო სკოლა.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზაფხულო სკოლა თურქეთში, ქალაქ სტამბოლში ჩატარდა და თავი მოუყარა ქართველ, ოს და აფხაზ იურისტებს, უფლებადამცველებსა და სამოქალაქო აქტივისტებს.

საზაფხულო სკოლის მსვლელობისას მოწვეულმა უცხოელმა ექსპერტებმა ისაუბრეს ადამიანის უფლებების ფუნდამენტურ პრინციპებზე, ტოლერანტობისა და დისკრიმინაციის აქტუალურ საკითხებზე, უმცირესობათა უფლებებზე, გენდერულ თანასწორობაზე, ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმებზე და ა.შ. მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ განეხილათ კონკრეტული მაგალითები და ემსჯელათ თავიანთ საზოგადოებებში აქტუალურ უფლებრივ საკითხებზე.

აღნიშნული პროექტის მიზანი იყო პირველ რიგში ადამიანის უფლებების პოპულარიზაცია და კონფლიქტით დაზარალებულ თემებში ცნობიერების ამაღლება, ხოლო მეორე მხრივ, კონფლიქტით დაშორიშორებულ თემებს შორის, კონკრეტულად კი იურისტებსა და სამოქალაქო აქტივისტებს შორის, პროფესიული

კონტაქტების დამყარება და თანამშრომლობა. აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტის არსებობის განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატმა მსგავსი პროექტი პირველად განახორციელა, რითაც საფუძველი ჩაეყარა ომბუდსმენის ინსტიტუციურ ჩართულობას ქართველ, აფხაზ და ოს საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენის პროცესში.

პროექტის წარმატებით განხორციელებამ და მონაწილეთა დადებითმა შეფასებამ, სახალხო დამცველის აპარატს შესაძლებლობა მისცა განაგრძოს თანამშრომლობა აფხაზ და ოს პარტნიორებთან და კიდევ უფრო გააფართოოს პროექტი 2016 წელს.

რაც შეეხება ადგილობრივ საზაფხულო სკოლას, მასში მონაწილეობა მიიღო შიდა ქართლის, სამეგრელოს, გალის რაიონის და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებიდან შერჩეულმა 20-მა ახალგაზრდამ. სემინარები ტოლერანტობასა და დისკრიმინაციაზე, ბავშვთა და ქალთა უფლებებზე, შეზღუდული შესაძლებლობის პირთა უფლებებზე ცნობილმა ქართველმა უფლებადამცველებმა და სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებმა ჩაატარეს. მათ მიერ განხილული კონკრეტული მაგალითები მონაწილეებს სამომავლოდ საკუთარ თემში ადამიანის უფლებების დარღვევისა და ძალადობის ფაქტების სრულად გააზრებაში დაეხმარება.

თბილისის საზაფხულო სკოლა სახალხო დამცველის პირველმა მოადგილემ პაატა ბელთაძემ გახსნა. მისასალმებელ სიტყვაში მან ხაზი გაუსვა ახალგაზრდების როლს ინკლუზიური საზოგადოებისა და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში, მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანასწორობის, ტოლერანტობის კულტურის დამკვიდრებაში.

**„სწორედ ახალგაზრდებს შეგიძლიათ გადამწყვეტი როლი შეასრულოთ სტერეოტიპებისგან, სტიგმებისგან, ძალადობისგან თავისუფალი გარემოს შექმნაში, სადაც სხვადასხვა უმცირესობები მშვიდობიანად თანაცხოვრობენ და აქვთ შესაძლებლობა სრულფასოვნად მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. სწორედ აქ მიღებული ცოდნა უნდა გაუზიაროთ თქვენს თანატოლებს რეგიონებში, რათა მაღალი სამოქალაქო თვითშეგნებით შეძლოთ წვლილი შეიტანოთ ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტების ჩამოყალიბებაში"**

***სახალხო დამცველის პირველი მოადგილე, პაატა ბელთაძე***

ადამიანის უფლებათა საზაფხულო სკოლა თბილისში

## 3. ექსპერტის მოსაზრება – ინტერვიუ იორგენ იოჰანსენთან

იორგენ იოჰანსენი არის კონფლიქტოლოგიის ლექტორი, კონფლიქტის პრევენციის ტრენერი და აქტივისტი 100-ზე მეტ ქვეყანაში მუშაობის 40-წლიანი გამოცდილებით. მას გამოქვეყნებული აქვს ექვსი წიგნი და სტატიები ათ წიგნში შემდეგ თემებზე: არაძალადობრივი მეთოდები, დემოკრატია, საერთაშორისო პოლიტიკა და სოციალური მოძრაობები. 2013 წლიდან, ბატონი იოჰანსენი არის საქართველოს სახალხო დამცველის საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს წევრი.

***ბატონო იოჰანსენ, დღეს უფრო ხშირად საუბრობენ კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე, ვიდრე კონფლიქტის მოგვარებაზე. გთხოვთ, განგვიმარტოთ, რას ნიშნავს კონფლიქტის ტრანსფორმაცია.***

ეს დისკუსია უკვე საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობს. ბევრმა თეორიამ საკუთარი ტერმინოლოგია განავითარა და ისინი ხშირად სხვადასხვა განმარტებას გვთავაზობს. „კონფლიქტის" შესახებ ბევრი ინტერპრეტაციის არსებობამ გამოიწვია რამდენიმე სიტყვის დამატება. მაგალითად, „კონფლიქტების მოგვარება" (conflict resolution) მიუთითებს, რომ არსებობს

გზები, რომლებსაც შეუძლიათ კონფლიქტის აღმოფხვრა. ზოგიერთები პირდაპირ იყენებენ ტერმინს, „კონფლიქტის გადაწყვეტა“ (conflict solution) და ამტკიცებენ, რომ “re“ (ხელახლა) სიტყვაში იმ აზრის შემცველია, რომ კონფლიქტი შეიძლება დაბრუნდეს ადრეულ ეტაპზე. თუმცა, სხვები ფიქრობენ, რომ კონფლიქტი „ვერ დაბრუნდება წარსულში“ და რომ მან შეიძლება მხოლოდ წინ წაიწიოს.

ბიზნეს კონტექსტში გვხვდება ისეთი ტერმინები, როგორიცაა „კონფლიქტის მენეჯმენტი“ და „კონფლიქტის მართვა“. ეს სკოლა კონფლიქტებს აღიქვამს როგორც „სამართავ პრობლემას“ ან წინაღობას. ზოგიერთ შემთხვევაში კი, როგორც პროცესს, რომლისგანაც სარგებელი უნდა მივიღოთ.

მათ, ვინც ტერმინი „კონფლიქტების ტრანსფორმაცია“ შემოიღეს, ყველა ზემოხსენებულისგან განსხვავებული მოსაზრება აქვთ. ისინი ფიქრობენ, რომ კონფლიქტი ყოველთვის ცუდი მოვლენა კი არ არის, არამედ ადამიანური ურთიერთობების აუცილებელ და ინტეგრირებულ ნაწილს წარმოადგენს. პრობლემა ჩნდება მაშინ, როდესაც ერთი ან მეტი დაინტერესებული მხარე იყენებს ძალადობას და აგრესიას კონფლიქტში. კონფლიქტები განიხილება, როგორც ცხოვრების ნაწილი და სოციალური ურთიერთობების ცვლილებების ნაწილი. როდესაც ადამიანები და საზოგადოებები ვითარდება, წარმოიშობა კონფლიქტები. თუ ძალადობას თავიდან ავიცილებთ, მაშინ კონფლიქტს შეუძლია გვასწავლოს ქცევის ახალი გზები და ურთიერთობების ახალი ფორმები. კონფლიქტის ტრანსფორმაციის მომხრეთა მიზანი კონფლიქტის ძალადობრივი აქტიდან არაძალადობრივ აქტში გარდაქმნაში მდგომარეობს. კონფლიქტები უმეტეს შემთხვევებში მაინც იარსებებს, თუმცა, განსხვავებული ფორმით. ისინი შეიძლება იყოს კონსტრუქციული და სასარგებლოც კი დაინტერესებული პირებისათვის.

***როგორ უნდა მოიქცეს სამოქალაქო საზოგადოება, თუკი ხელისუფლების პოლიტიკა უსამართლო, დისკრიმინაციული ან კონფლიქტის გამომწვევია?***

სამოქალაქო საზოგადოებამ უნდა განავითაროს სტრატეგიები გრძელვადიანი კამპანიისათვის და მდგრადი საქმიანობისათვის ორი პრინციპით: 1. საკუთარი დღის წესრიგი 2. მუდმივი დაკვირვება ძალაუფლების მფლობელებზე საქართველოში. სამოქალაქო სექტორმა ზედამხედველობა უნდა გაუწიოს ყველა სამინისტროს, კერძო სექტორს, ეკლესიას და სხვა რელიგიურ გაერთიანებებს, საიდუმლო და უსაფრთხოების სამსახურებს, შეიარაღებულ ძალებს, პოლიციას, სასამართლო სისტემას და სხვა უწყებებს.

ამისათვის, სამოქალაქო საზოგადოებას უნდა გააჩნდეს სხვადასხვა ტაქტიკა და ტექნიკა, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნება საჭიროებისამებრ. ინსტრუმენტები უნდა მოიცავდნენ უნარ-ჩვევების ფართო სპექტრს - საგანმანათლებლო პროგრამებს, მოლაპარაკებებს, ლობირებას, საპროტესტო აქციებს, პირდაპირ მოქმედებას, სამოქალაქო დაუმორჩილებლობას, მედიით გაშუქებას და სოციალური მედიის აქტიურ გამოყენებას. თითოეული ამ უნარისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ „კარგი ზრახვები“, ისინი უნდა დაიხვეწოს, რომ უფრო ეფექტიანი გახდეს.

როცა ქვეყანა ეროვნული მნიშვნელობის გამოწვევების წინაშე დგას, აუცილებელია, ორგანიზაციებმა და ჯგუფებმა შექმნან ფართო ალიანსები და საკუთარი დღის წესრიგი საზოგადოების საკეთილდღეოდ გადადონ.

***რა ურთიერთკავშირია ადამიანის უფლებების დაცვასა და ძალადობის პრევენციას შორის?***

ადამიანის უფლებათა დარღვევები ცუდად მართულ კონფლიქტებს წარმოადგენს. კონფლიქტის წარმატებული ტრანსფორმაცია ამცირებს ადამიანის უფლებების დარღვევის დონეს, რაოდენობას და მოცულობას. ყველაზე ცუდად მართული კონფლიქტის შედეგად ვღებულობთ „ადამიანის არასწორ ქმედებებს", რაც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებებს. ამავე დროს, ადამიანის უფლებები სწორედ ძალადობრივი კონფლიქტების დროს ირღვევა.

***როგორ ხედავთ ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების როლს ძალადობის შემცირებასა და პრევენციაში?***

ამ კონტექსტში საინტერესოა სახალხო დამცველთან დაკავშირებული მოვლენები. ბოლო წლებში ომბუდსმენის ხმა და ძალა ქართულ საზოგადოებაში უფრო ძლიერი და ხმამაღალი გახდა. სახალხო დამცველი, რომელიც ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მაგრამ გააჩნია ძლიერი დამოუკიდებელი პოზიცია, არჩევიდან ხუთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ხმა გახდა საქართველოში.

გარდა ამისა არსებობს სხვა მნიშვნელოვანი ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებიც. საზოგადოებისათვის სასარგებლო იქნებოდა, თუ ისინი გააფართოებდნენ უნარებს კონფლიქტების ანალიზის საკითხში და გააუმჯობესებდნენ სტრატეგიებს ეფექტიანი და მდგრადი კამპანიის ორგანიზებისათვის, რომელშიც ჩართული იქნებოდა მოსახლეობის ფართო ნაწილი.

## 4. საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ

საქართველოს სახალხო დამცველი არის კონსტიტუციური ინსტიტუტი, რომელიც ზედამხედველობას უწევს ქვეყანაში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, ავლენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტებს და ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას. საქართველოს სახალხო დამცველი მის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ხელისუფლების არცერთ შტოს არ მიეკუთვნება. სახალხო დამცველი ზედამხედველობს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საჯარო დაწესებულებებისა და თანამდებობის პირების მხრიდან ადამიანის უფლებების დაცვას. სახალხო დამცველის საქმიანობის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს სახალხო დამცველის სამდივნო, სახალხო დამცველის მრჩევლებითა და თანაშემწეების საშუალებით. რეგიონული წარმომადგენლობების მუშაობას ხელმძღვანელობს რეგიონული სამმართველო. ამის გარდა სახალხო დამცველის აპარატში ფუნქციონირებს შემდეგი დეპარტამენტები და ცენტრები:

- სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტი
- სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი
- პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი
- გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი
- თანასწორობის დეპარტამენტი
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტი
- თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი
- ბავშვის უფლებათა ცენტრი
- ტოლერანტობის ცენტრი, რომელიც აერთიანებს სახალხო დამცველთან არსებულ ეთნიკური უმცირესობებისა და რელიგიური უმცირესობების საბჭოებს
- ანალიტიკური დეპარტამენტი
- ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტი
- საქმის წარმოების და ადამიანური რესურსების დეპარტამენტი
- საერთაშორისო ურთიერთობებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტი
- რეგიონული დეპარტამენტი

სახალხო დამცველი ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს. სახალხო დამცველი ასევე, ახორ-

ციელებს ზედამხედველობას დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს 2006 წლის კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგს.

საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტს მინიჭებული აქვს "A" სტატუსი, რაც გაეროს პარიზის პრინციპებთან საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტის სრულ შესაბამისობას გულისხმობს. საქართველოს სახალხო დამცველი არჩეულ იქნა ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების გლობალური ალიანსის (GANHRI) ბიუროს სრულუფლებიან წევრად. საქართველოს სახალხო დამცველი ასევე ზედიზედ მეორედ გახდა ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის (ENNHRI).

საქართველოს სახალხო დამცველის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში საგანმანათლებლო საქმიანობა წარმოადგენს. იგი ორგანიზებას უწევს ადამიანის უფლებათა შესახებ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებსა და კამპანიებს, რომლებიც სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებს აერთიანებს. 2015 წლის შემოდგომაზე სახალხო დამცველთან დაფუძნდა „ადამიანის უფლებათა აკადემია". აკადემია სახალხო დამცველის სტრუქტურული ერთეულია, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის უფლებების სფეროში სამართლებრივი და სხვა ასპექტების შესახებ სამიზნე ჯგუფების ცოდნის, კვლევითი და ანალიტიკური უნარების გაღრმავებას. აკადემიის ფარგლებში საჯარო უწყებების წარმომადგენლებს, სტუდენტებს, მასწავლებლებს, ჟურნალისტებს, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების თანამშრომლებსა და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლებს საშუალება ეძლევათ გაიარონ სპეციალურად მათთვის შემუშავებული ერთკვირიანი კურსები ადამიანის უფლებების შესახებ. ტრენინგებს აღიარებული საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები გაუძღვებიან.

## ცხელი ხაზი - 1481

### კონტაქტი


**თბილისი:**
ნინო რამიშვილის ქ. 6, თბილისი 0179
ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877
ფაქსი: +99532 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

**ბათუმი:**
მაზნიაშვილის ქ. 9
ტელ.: 0422 27 05 44
მობ.: 577 50 52 31

**ზუგდიდი:**
კოსტავას ქ. 58
ტელ.: 0415 22 36 11
მობ.: 577 50 52 34

**ახალქალაქი:**
ჭავჭავაძის ქ. 4
ტელ.: 0362 22 32 83
მობ.: 577 12 27 70

**თელავი:**
ჩოლოყაშვილის ქ. 3
ტელ.: 0350 27 99 27
მობ.: 591 883538

**ქუთაისი:**
რუსთაველის ქ. 18
ტელ.: 0431 25 33 50
მობ.: 577 55 33 81

**გორი:**
სამების ქ. 1
ტელ.: 0370 27 05 49
მობ.: 577 78 27 42

**მარნეული:**
რუსთაველის ქ. 51
ტელ.: 0357 22 19 70
მობ.: 591 91 91 85

**ოზურგეთი:**
დავით აღმაშენებლის ქ. 9
ტელ.: 0496 27 30 53
მობ.: 593 44 44 27


ბიულეტენი გამოქვეყნებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით